

საბჭოთა ეპოქა თანამედროვე ქართული მწერლობის თვალთ.

ბესო სოლომანაშვილის „ლუმპენ მილენიუმი“

THE SOVIET ERA IN THE EYES OF THE MODERN GEORGIAN WRITING.
BESO SOLOMANASHVILI'S "LUMPEN MILLENNIUM"ანა გოგილაშვილი სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი
Ana Gogilashvili Sulkhani-Saba Orbeliani University<https://orcid.org/0000-0003-4327-3917>**საკვანძო სიტყვები:** საბჭოთა ეპოქა, თანამედროვე ქართული მწერლობა, ბესო სოლომანაშვილი**Keywords:** Soviet era, modern Georgian literature, Beso Solomanashvili

ABSTRACT

Beso Solomanashvili's creative work occupies a very interesting niche in the modern Georgian literature. It is worth mentioning in the context of reflection of this era's literature, especially that of already passed Soviet era, which has so big impact on the modern life that became the main motif of many modern authors' creativity. The second Beso Solomanashvili's novel in succession Lumpen Millenium is the second book of the narrative designed as a trilogy. It is a kind of continuation of the novel The Story of the Old Shooting and the Story of the New Shooting. This is a story of heroes and betrayers, true and squarable humans, freedom and slavery,

value depreciation that was stipulated by the vicious era, and of eternal values, which are kept nevertheless, though by the very few. That is exactly the case, when a literature reflects the history better than chronicles, clearly paints a picture of the present time and makes us think of the concept of future. It should be mentioned as well that this work still has not been discussed neither by Georgian, nor by not-Georgian literature critics, therefore its analysis is a scientific novelty. The novel will be discussed using the synthesis of narratology and hermeneutics, the methods of observation on text, analysis and conceptual interpretation.

თანამედროვე ქართულ ლიტერატურულ პროცესზე დაკვირვება ძალიან საინტერესო სურათს გვიხატავს: ქართველი მწერლებისთვის ერთ-ერთ მთავარ თემად საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ეპოქა ქცეულა. საგულისხმოა, რომ 21-ე საუკუნის ქართულ ლიტერატურულ სივრცეში ხსენებული საკითხი ძალზედ აქტუალურია, რაც იმის დასტურია, რომ საბჭოთა რეჟიმის გავლენები დღესაც აშკარაა ქართულ რეალობაზე, პოლიტიკაზე, ადამიანთა ცნობიერებასა და ქმედებებზე, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსეთი კვლავ აგრესორად გვევლინება და დღევანდელი მოცემულობით, ქართული ტერიტორიების 20%-ზე მეტი ოკუპირებული აქვს. მცოცავი ოკუპაცია კი ყოველდღიურად გვახსენებს თავს და საბჭოთა ეპოქისა და რუსული გავლენებისგან გათავისუფლების განცდას ძალზედ რთულად მისაღწევს ხდის.

საბჭოთა და პოსტსაბჭოთა საქართველოს თემატიკას თავიანთი შემოქმედებით ეხმიანებიან შემდეგი თანამედროვე ავტორები: „ჩაძირული ქალაქი“ დ. ტურაშვილი; „იყო და არა იყო რა“ დ. ტუ-

რაშვილი; „ნაფტალინი“ ლ. ბულაძე; „სამოთხიდან გაქცეულები“ ბ. ქურხული; „დიქტატურის გემო“ რ. გორგილაძე; „ამბავი ძველი დახვრეტილებისა და ახალი დასახვრეტიებისა“ ბ. სოლომანაშვილი; „ბუნკერი“ ი. ფეხუაშვილი; „დოდოს მოლოდინში“ დ. ტურაშვილი; „შენი თავგადასავალი“ ა. მორჩილაძე; „ნუგზარი და მეფისტოფელი“ ლ. ბულაძე; „პატარა ქვეყანა“ ლ. ბულაძე; „კუპიდონი კრემლის კედელთან“ ა. მორჩილაძე; „ვა სოფელი“ ზ. არსენიშვილი; „ბუცები და ტყავის ჩექმა“ დ. ჯიშკარიანი; „მერვე სიცოცხლე“ ნ. ხარატიშვილი; „უკმარი სინათლე“ ნ. ხარატიშვილი, „ლუმპენ მილენიუმი“ ბ. სოლომანაშვილი და სხვანი.

ოკუპაცია, თავისი ტრადიციული მნიშვნელობით გულისხმობს ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის ტერიტორიის მიტაცებას, რაც, შესაძლოა, ერთ კონკრეტულ დღეს დასრულდეს. მასზე უფრო მტკივნეული და სახიფათო კი მენტალური ოკუპაციაა, რომელიც თაობებს გადაწვდენილ საფრთხეს გულისხმობს, რადგან ადამიანთა ცნობიერებაში მყარად იდგამს ფესვს და მისგან თავის დაღწევას ათწლეულები და

უდიდესი ძალისხმევა სჭირდება (გოგილაშვილი, ვახტანგაშვილი, 2022, გვ.122). სწორედ ამგვარი მენტალური ოკუპაციის ნიშში აღმოჩნდა ქართველთათვის რუსული მხარის მიერ როგორც საბჭოთა დროს, ასევე თანამედროვე ეპოქაში წარმოებული საინფორმაციო ომის შედეგად შეცვლილი ცნობიერება, იმის მიუხედავად, რომ „...ისტორიამ გვიჩვენა, რომ ერთხელ მოპოვებული ეროვნული დამოუკიდებლობა ინფექციურია და მხოლოდ უზომო გარეშე ძალის გამოყენებით შეიძლება მასზე უარი ათქმევინო ვინმეს“ (ბზეჟინსკი, 2014, გვ.328). ეს უდავოდ ასეა სადად მოაზროვნე ადამიანების შემთხვევაში. ამის ნათელი დადასტურება კი არის მაგალითად, ილია ჭავჭავაძის, მიხეილ ჭავჭავაძის, მერაბ მამარდაშვილისა და სხვათა მოღვაწეობა, ვისაც ოკუპანტის შესახებ რეალისტური წარმოდგენა ჰქონდა და მისგან გამოწვეულ საფრთხეებსაც ნათლად აცნობიერებდა.

ილიასეული დანაბარები, მწერლის ფუნქციაა, მუდამდღე აფხიზლებდეს თავის ერსო, არაერთმა ქართველმა ავტორმა თავისი შემოქმედების მაიმოდრავებელ ღერძად აქცია. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ბესო სოლომანაშვილის ჩვენ მიერ განსახილველი რომანი თანამედროვე ქართულ სალიტერატურო სივრცეში შექმნილ ნაწარმოებთაგან არც პირველია და არც უკანასკნელი, რომელიც საბჭოთა ოკუპაციას ეძღვნება. ზოგადად მწერლის შემოქმედება ძალიან საინტერესო ნიშას იკავებს თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში. იგი საგულისხმოა ეპოქის ლიტერატურაზე ასახვის თვალსაზრისით. განსაკუთრებით კი - უკვე განვლილი - საბჭოთა ეპოქისა, რომლის გავლენაც თანამედროვე ყოფაზე იმდენად დიდია, რომ როგორც ვახსენეთ, არაერთი თანამედროვე ავტორის შემოქმედების მთავარ მოტივად იქცა.

ბესო სოლომანაშვილის რიგით მეორე რომანი „ლუმპენ მილენიუმი“ ტრილოგიად ჩაფიქრებული ამბის მეორე წიგნია. იგი ერთგვარი გაგრძელებაა რომანისა „ამბავი ძველი დახვრეტილებისა და ახალი დასახვრეტიებისა“. ეს არის ხარჯახიშვილების საგვარეულო საგა, ნაწარმოები გმირებსა და მოღალატეებზე, ერთგულებსა და გამყიდველებზე, თავისუფლებასა და მონობაზე, ფასეულობათა დევალვაციაზე, რაც მანკიერმა ეპოქამ განაპირობა და მარადიულ ღირებულებებზე, რომლებიც, მართალია, ერთეულებს, მაგრამ მაინც შემორჩათ. ნაწარმოები ნიშნულია ეპოქათა მონაცვლეობისა და პერსონაჟთა მრავალფეროვანი ხასიათების თვალსაზრისით. შეიძლება, ითქვას, რომ ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა ლიტერატურა ზოგჯერ მემკვიდრეობით ნაწერებზე უკეთ ასახავს ისტორიას, ნათლად გვიხატავს აწმყოს და მომავლის კონცეფციაზე ფიქრს გვაძლევს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „ლუმპენ მილენიუმი“ ქართულ და ასევე არაქართულ ლიტერატურ-

რათმცოდნეობით სივრცეში ჯერ არ განხილულა, შესაბამისად, მისი ანალიზი სამეცნიერო სიახლეს წარმოადგენს.

რომანის განხილვისას გამოყენებულია ნარატოლოგიისა და ჰერმენევტიკის სინთეზი, ტექსტზე დაკვირვების, ანალიზისა და კონცეპტუალური ინტერპრეტაციის მეთოდები.

„ლუმპენ მილენიუმი“ მაგიური რეალიზმის ტექნიკით შექმნილი რომანია, მისი პერსონაჟთა გალერეა კი - საკმაოდ მრავალფეროვანი. ერთ მხარეს არის ხარჯახიშვილთა ეროვნული ნიშნით აღბეჭდილი შტო, მეორე მხარეს კი - რუსეთის მოყვარული და სამშობლოს მოღალატე თავადთა თუ გლეხთა მრავალფეროვანი პალიტრა. ნაწარმოებში მოქმედი პირები ისტორიული სახელებიც არიან. ასეთია, მაგალითად, ალექსანდრე ჭავჭავაძე, ალექსანდრე ორბელიანი, ალექსანდრე გრიბოედოვი, მაიკო ორბელიანი, ლავრენტი ბერია, ბუდუ მდივანი, მიხეილ ჭავჭავიშვილი და სხვანი.

რომანთან პირველი შეხებისთანავე მკითხველის ყურადღებას იპყრობს სათაური - ლუმპენ მილენიუმი, რომლის სემანტიკა, დაახლოებით, ამგვარია: უგვანოთა, მდაბიოთა ათასწლეული. ნაწარმოებში აღწერილი მოვლენები და პერსონაჟები ამართლებენ სათაურს და სინდისისგან, ყოველგვარი ადამიანური სიკეთისგან გაძარცვულ არსებებად გვევლინებიან. ასეთები, ძირითადად, ჩრდილოელ მეზობელთა ტომიდან არიან და, ასევე, რომანის სათაური ამ უკანასკნელთა გავლენის ქვეშ მოქცეულ ქართველთა გარკვეულ ნაწილსაც აერთიანებს.

ნაწარმოებს სათაურის ქვეშ შემდეგი წარწერა აქვს: „სიმულაკრები ისტორიებისა, ისტორიები სიმულაკრებისა“. როგორც სოციოლოგი, თეორეტიკოსი ჟან ბოდრიარი განმარტავს, სიმულაკრი არის სიმულაციისპროცესისშედეგი, რომელიცარყოფნასყოფნადადგენსდაშლისყოველგვარსაზღვარსრეალობასადაწარმოსახვითობასშორის. სიმულაკრი - ესმოდელირებაადაარაუბრალოდასლისგადაღება (ბოდრიარი, 2014, გვ.4). ამის გათვალისწინებით, ადვილად სავარაუდოა, რომ საბჭოთა სიმულაკრული ყოფის წარმოჩენას, გაანალიზებასა და სინამდვილის ზედაპირზე ამოტანას ცდილობს ავტორი. მით უფრო, რომ მან საარქივო მასალის ძიებაში წლები გაატარა, რათა ისტორიული რეალობა რაც შეიძლება, ზუსტად და შეულამაზებლად მიეწოდებინა მკითხველისათვის.

არანაკლებ საინტერესოა ნაწარმოების ყდაც. ხის ტოტზე მოკალათებული ყვავი, რომელსაც პირში აღმასი უჭირავს, რუსეთ-საქართველოს დამოკიდებულების ერთგვარი სიმბოლოს განცდას აჩენს. მეორეს მხრივ კი, გვახსენდება იგივე ფრინველი გალაკტიონის ლექსიდან „შემოდგომა უმანკო ჩასახების მამათა სავანეში“, სადაც პოეტი ასევე ყოველგვარი სინამდვილის შემბლაღავი „ერთმორწმუნე ძმის“ სიმბოლოდ წარმოგვიდგენს მას, როდესაც 1921 წლის

მოვლენებს ამგვარად შეგვახსენებს: „თებერვალს უხმობენ, თებერვალს, სამრეკლოს ჯვარიდან ყვავები“ (გალაკტიონი, 2000, გვ.157).

ვფიქრობ, „ლუმპენ მილენიუმის“ ანალიზისას უნდა აღინიშნოს ის საგულისხმო და დასაფასებელი ფაქტი, რომ რომანის ავტორი ისტორიულ ფიგურებსაც „არ ინდობს“ და მათ რეალურ სახეს მაქსიმალური ობიექტურობით გვიჩვენებს. ასე ხდება, მაგალითად, ალექსანდრე ჭავჭავაძის შემთხვევაში, როდესაც მას რომანში რუსული კავშირებისა და საქმეების გამო მუდმივი სინდისის ქენჯნა აწუხებს და სიმშვიდის მოპოვებას ვერ ახერხებს. ერთგვარ სინდისის ხმადა კი ალექსანდრე ბატონიშვილის უცარი გამოჩენები ევლინება. ეს უკანასკნელი ერთიანი საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის დაუოკებელი სიმბოლოა რომანში.

მწერალი ააშკარავებს „ერთმორწმუნე“ ძმების წესით ყველაზე მორწმუნე ნაწილის, სასულიერო პირების ქმედებებსაც, როდესაც აღგვიწერს, როგორ ჩამოდის რუსი არქიეპისკოპოსი, ფიოდორ როსიანინი საიმპერატორო დავალებით საქართველოში და ბოდბის მონასტერში ბანაკდება, წმინდა ნინოს საფლავის გახსნისა და გაძარცვის მიზნით. ეპისკოპოსმა რომ „არ მოიწყინოს“, მას მოსკოვიდან ორ რუს გოგონას უგზავნიან, თუმცა, ამის მიუხედავად „წმინდა მამა“ მონაზვნების გაუპატიურებაზე მაინც არ ამბობს უარს.

ავტორი დამპყრობლისა და ქართული არისტოკრატიის მენტალური სხვაობისათვის არაერთ ამბავს ავითარებს რომანში. ნაწარმოების მთავარი გმირი, ქაიხოსრო ხარჯახიშვილი წიგნიერი, ისტორიისა და ხელოვნების მცოდნე და დამფასებელი კაცია. თავისი სახლი ვერაზე იტალიიდან სპეციალურად ამ საქმისათვის ჩამოყვანილ მხატვარს გააფორმებინა. სამივე შვილის ოთახი მსოფლიოში ცნობილი ნაწარმოებების განსხვავებული სიუჟეტებითა და გმირებით მოახატვინა. მის ყველაზე დიდ საგანძურს კი საკუთარ ოთახში, სეიფში შენახული ხელნაწერი წიგნი წარმოადგენს, რომელიც ხარჯახიშვილების სისხლიანი ისტორიის ფონზე საქართველოს მათიანეს ინახავს. ქაიხოსროს ყველა წინაპარი სამშობლოს თავისუფლებისათვის სისხლდათხეული გმირია. ასეთივენი არიან შვილებიც, იუნკრები, ლევანი და ზაალი, რომელთა გვამები 1921 წლის თებერვალში მისაღებ ოთახში უწყვია მამას. ორივეს საქართველოს დროშას აფარებს და უდიდესი ტკივილის მიუხედავად, ბედნიერია, რომ შვილებიც არ ასცდნენ წინაპართაგან ჩვეულ, მართალ გზასა და ფასეულობებს. თავს ინუგეშებს, რომ ესე იგი, რაღაც მნიშვნელოვანი სწორად გაუკეთებია მასაც, ტკივილისაგან სულდაზაფრულ მოხუცს.

მეორე მხარეს კი რუსის სალდათები არიან, რომლებიც იტალიელი შემოქმედის მიერ მოხატულ ოთახებსა და ჩინური ფაიფურის უძვირფასეს ჭურჭელში ისაქმებენ. მათ პირუტყვულ ქმედებებს

ნატურალისტური ხერხებითა და შემადრწუნებელი სიზუსტით აღწერს ავტორი. ერთ-ერთი ასეთი ეპიზოდი მაიკო ორბელიანის ისტორიული ამბის გადანაა რომანში. ეს ისტორია თავისი სიმძიმიდან და ტრაგიკულობიდან გამომდინარე, გადმოსაცემადაც კი რთულია, ამიტომ მხოლოდ ამბის ხსენებაც საკმარისი იქნება რუსული ცხოველური ბუნების კიდევ ერთ დასტურად. ჩვენი თანამედროვე ყოფიდან კი აბზაცში ხსენებული ამბების შესატყვისად გამოდგება 2008 წლის აგვისტოში ქართული სოფლებიდან უნიტაზების მოპარვა რუსი სამხედროების მიერ და ასევე მათი სადისტური ქმედებები უკრაინაში 2022 წლიდან მოყოლებული - დღემდე.

ისევ რომანს რომ დავუბრუნდეთ, ძალიან საინტერესოა მწერლის მიერ პერსონაჟთა სახელებისა და გვარების ქმნადობის მეთოდიც. ავტორი ეროვნული შტოს წარმომადგენელთა სახელებს საქართველოს ისტორიიდან, გმირი წინაპრების პატივსაცემად იღებს. მაგალითად: ელიზბარი, ქაიხოსრო, შალვა, ლევანი; ხოლო სისტემის მონა და სინდისნამუსგარეცხილი მამა-შვილი პერსონაჟების გვარად ნახირიშვილს იყენებს. მწერალი ამ მხრივ, თითქოს, ეგნატე ნინოშვილისეულ გზას მიჰყვება. მისი ფანტაზიის ნაყოფია ნაწარმოების მთავარი შტოს - ხარჯახიშვილების გვარის დაბადებაც. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ისინი შეუპოვრობისა და სისტემასთან მუდმივი დაპირისპირების სიმბოლოდ ჩაიფიქრა ავტორმა. ოჯახის მთავარი ხარჯახიშვილის სახელი ქაიხოსროა. ისიც ჩოლოყაშვილის მსგავსად, შვილებს სწირავს ქვეყნის თავისუფლების სანაცვლოდ (ქაქუცას შვილები, მართალია, სიკვდილს გადაურჩნენ, მაგრამ ცნობილია მათი წამების ფაქტები).

რომანში იკვეთება მარადიული და ძალიან მტკივნეული, დავით გურამიშვილისეული „ქართლის ჭირის“ პრინციპი, როცა „კახელების აღმა ხნული ქართლელებმა დაღმა ფარცხეს“ და ქართველმა ბოლშევიკებმა ვაგონებში ჩაცხრილეს 1924 წლის აჯანყების ქართველი მონაწილენი, შემდეგ კი მათ სისხლში ხელები დაიბანეს და საქეიფოდ წავიდნენ.

სისტემის მიერ დამონებული, გაბრიყვებული და ადამიანის სახედაკარგული ქართველების მაგალითად კიდევ ორი პერსონაჟი, ზემოთ ნახსენები მამა-შვილი ნახირიშვილი გვევლინება რომანში. ისინი ბოლშევიკებმა პედოფილიაში გამოიჭირეს, მაგრამ დასჯის სანაცვლოდ მათი თავიანთ სასარგებლოდ გამოყენება გადაწყვიტეს. კერძოდ, „სამშობლოს მოღალატეებს“ შვილების გაუპატიურებით აშანტაჟებდნენ და ზოგჯერ ამ სისასტიკეს ნახირიშვილების დახმარებით აღასრულებდნენ კიდევ.

რომანი საკმაოდ მრავალპლანია. ავტორი არაერთი საკითხისა და პრობლემის მრავალმხრივ ანალიზს ცდილობს. ისტორიული პერიპეტიების ფონზე საინტერესოაა წარმოჩენილი ბავშვის

ფსიქოლოგია და ტრავმები ალექსანდრე ჭავჭავაძისა და მამამისის, გარსევანის ერთი შემთხვევის მაგალითზე. პატარა ალექსანდრე მამასთან ერთად სეირნობისას ჭიდაობის საინტერესო სცენას გადაეყრება, სადაც სხვა მაყურებლებთან ერთად, გარსევანიც ჩამოვა ფსონს ერთ-ერთი მოჭიდავის სასარგებლოდ. საპასუხოდ კი მოასპარეზები ორთაბრძოლის გაგრძელებაზე უარს განაცხადებენ და იტყვიან, რომ სამშობლოს მოღალატისა და რუსი თავადის, გარსევანის დადებულ ფულზე არ იჭიდავებენ. საქმე ხელჩართულ შეტაკებამდე მივა და გარსევანსა და ალექსანდრეს რუსი სამხედროები გააპარებენ. მამის ავტორიტეტის მსხვერვა, რუსეთის აუგ კონტექსტში ხსენება და შიშის დაუძლეველი განცდა ერთბაშად შემოაწვება ბავშვს, რაც მისი ფსიქიკის ფორმირებაზე დიდ გავლენას მოახდენს, თუმცა, ამ შემთხვევის მიუხედავად, ალექსანდრე მამის მემკვიდრეობას გააგრძელებს და თავადაც რუსეთის იმპერიის მსახური ხდება.

ნაწარმოების დასასრული, თითქოს, ღიად რჩება. ავტორი ეროვნული შტოს, ხარჯახიშვილების ბოლო მემკვიდრეს, შალვას ნარკომანად გვიხატავს. სახეზეა ფასეულობათა დევალვაციის, დეგრადირების ნიშნები, რაც, სავარაუდოდ, რუსული გავლენებით აღსავსე თანამედროვე ქართული ყოფით არის განპირობებული. საინტერესო იქნება, თუ როგორ განვითარდება სიუჟეტური ქარგა ამ მიმართულებით ტრილოგიის მესამე წიგნში „მოქალაქე ლუმპენი“, რომელზეც მწერალი ამჟამად მუშაობს.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ბესო სოლომანაშვილს თავისი მოღვაწეობით ძალიან მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს არა მხოლოდ ქართული ლიტერატურის განვითარების, არამედ - ქართველთა ცნობიერების ამაღლების საქმეში, რაც, ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანი მისიაა. ერთის მხრივ, საჭიროა წარსულის სრულყოფილად ცოდნა იმისათვის, რომ გამოვიკვლიოთ საკუთარი თავი და სხვაც, ვისთანაც ურთიერთობა გვქონია, მეორეს მხრივ კი, დღეს, ქვეყანაში ასე მომძლავრებული პრორუსული განწყობების საპირისპიროდ უმნიშვნელოვანესია ოკუპანტის რეალური სახის ჩვენება მათთვის, ვისთვისაც, სამწუხაროდ, ოკუპირებული ქართული ტერიტორიები, მცოცავი ოკუპაცია, ყოველდღიურად გატაცებული ჩვენი მოქალაქეები და უკრაინაში მიმდინარე მოვლენები არ აღმოჩნდა საკმარისი „ერთმორწმუნე ძმის“ რეალური სახის აღსაქმელად.

ამასთან ერთად, აღნიშნული თემატიკის მხატვრული თხზულებანი დღეს საერთაშორისო ასპარეზზე ძალიან აქტუალურია იმ მიზეზის გამო, რომ

მსოფლიო ლიტერატურათმცოდნეობით სივრცეში ნაკლები ცოდნა არსებობს საბჭოთა ეპოქის ამსახველი ლიტერატურის შესახებ, მით უფრო იმ ქვეყნების ლიტერატურისა, რომლებმაც საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის სიმწარე საკუთარ მხრებზე იწვინეს. ეს ფაქტორები კი ზრდის ბესო სოლომანაშვილის ტრილოგიისა და კონკრეტულად განხილული რომანის, „ლუმპენ მილენიუმის“ მნიშვნელობას როგორც ქართული, ასევე საერთაშორისო მასშტაბით.

ლიტერატურა

- ბეჟინსკი, ზ. (2014).** *დიდი საჭადჩაკო დაფა*. თბილისი
- ბოდრიარი, ჟ. (2014).** *სიმუდაკეები და სიმუდაციები*. თბილისი: ილიაუნის გამომცემლობა
- გალაკტიონი. (2000).** *ახგისტუდი ყვავილები*. თბილისი
- გაფრინდაშვილი, ნ., მირესაშვილი, მ., წერეთელი ნ. (2010).** „სოციალისტური რეალიზმის თეორიული ისტორია“, თბილისი
- გოგილაშვილი, ა., ვახტანგაშვილი, მ. (2022).** *საქათვდოს გასაბჭოების პეჩიპეტიები და მისი ასახვა მხატვრულ დიგეხატულებაზე; ბესო სოლომანაშვილის „ამბავი ძველი დახვეჭილებისა და ახალი დასახვეჭილებისა“ მიხედვით*. თბილისი: საქართველოს ეროვნული არქივი
- ლორია კ., (2016).** „უახლესი ქართული ლიტერატურის სათავეებთან“, მეშვიდე საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები, თბილისი
- მეზრიშვილი ა. (2013).** „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“, თბილისი
- მირცხულავა მ. (2018).** „დემოკრატია და განათლება“, თბილისი
- რატინი ი. (2010).** „ლიტერატურული დისკურსის მოდელები საბჭოთა ტოტალიტარიზმის პირობებში“, სტანი N11
- სოლომანაშვილი ბ. (2019).** „ამბავი ძველი დახვეჭილებისა და ახალი დასახვეჭილებისა“, თბილისი
- სოლომანაშვილი ბ. (2023).** „ლუმპენ მილენიუმი“, თბილისი
- შველიძე დ. (2014).** „საქართველოს მფარველობა და დაპყრობა რუსეთის მიერ, თბილისი
- შველიძე ნ. (2018).** „საბჭოთა „მონობაში“ აკრძალული ლიტერატურა და ფილმები“, თბილისი
- ჯავახიშვილი ი. (1989).** „ისტორიული რარიტეტები“, თბილისი